


გაზეთის შასი

ხალის-მოწყობა მიიღება:



ფრთხილვა

თვილისში — „დროების“ რედაქციის კაბინეტში, ქუთაისის ქ. შიშკოვის ქუჩაზე, ხანის ქუჩაზე, ბუთოვის სახლში
 თვილისის გარეუბანში მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тбилиси. Въ контору редакції грузинской газеты „ВРЕМЯ“.
 ქუთაისში — ლ. ლ. ლ. უ. ა. ს. თ. ა. ნ. — პოლიციის ქუჩაზე, მეტეხან პალიციის სახლში.

ქუთაისის ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თვის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბუთებლად, მაგრამ, რომლისავე მიზნისა გამო, არ დაბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შემოკლებს გამოგზავნილ სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.

თვილისში და გა-
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება**
 და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივად ასთავსებს გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპა, ასო მთავრულებით
 ანუ 1/2 კაპა.

დროებაში გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

საკომლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფილიპადი მისხუთი.

შინაარსი:

ჩვენი განათლებულნი. — შინაგანი ცნობის წესების ამბები. — სამოსამართლო პროცესი. — პოლიტიკა: ანგლია, — შრანცია, — ამერიკა. — ეგვიპტე. — სიტყვა, თქმული მეთაის მამრის მოლოსისაგან. — შალეზხელ. — ლესი: „მობუტო“. — სხვა და სხვა ამბები. — ბიბლიოგრაფიული ცნობები. — შორეული მკვლევრობა.

ჩვენი განათლებულნი.

გამოჩენილი ბუნების მეცნიერი — ჰიოქსლი
 რომელიც შრთელი კაცობრიობა ისეთისავე
 როგორც შვედით იცვლის და განახლებს
 გაივს ცხოვრებას, ჩვეულებებს და ჰუის მი-
 ლეობას, როგორც რომელიმე მარტივი
 ჰუიკალი იცვლის თავის ქერქსაო. ამ შე-
 ნიშნებში ჰუიკაზე ახლოს არის მხოლოდ ის გა-
 რეობა, რომ ორივე შემთხვევაში — კაცია და
 შინაარსი ძველი ქერქის მაგიერათ ახალს
 იცვლის. მაგრამ ბუნების ახალი ქერქი
 უფროდ და ყველაფერში ჩამოგავს ძველს,
 როგორც ქერქსა. ძაცობრიობის წარ-
 ება კი იმაში მდგომარეობს, რომ ძველი,
 ახალი და უფროსი ცხოვრებისა და ჩვეუ-
 ლეებისა და შემცდარის აზრისა ნაცვლათ
 მოთხვებს უმჯობესს და უსარგებლესსა. ძა-
 ცობრიობის ისეთი თვისება აქვს, რომ ერთ
 გულზე გაჩერება, ერთი და იმავე ჩვეულებ-
 ისა და აზრის სამუდამოდ შენახვა იმას არა-
 მდის არ შეუძლიან: ის მუდამ წარმატებ-
 ისა, მუდამ წინ მიდის; ერთს უაზრო ჩვეუ-
 ლეებს დაადებს და მის ნაცვლათ შემოიღებს
 როგორც, უფრო საფუძვლიანსა; დღეს ის ჰფი-
 ლობს, რომ ერთი ნიწილი საზოგადოებისა
 როგორც უნდა არჩენდეს, მეორესთვის უნდა
 მომობდეს, ხელს კი მიხედება, რომ ანაირად
 საზოგადოების დაყოფა უსამართლო საქმეა
 მანებელი ორივესთვის, როგორც მშრო-
 ლისთვის, ისე ტყუილა-მჭამლისთვისაც;
 ეს ამბობენ, რომ ყოველმა კაცმა მარტო
 უნდა მუცლისთვის, თავის კეთილდღეობის-
 ის უნდა იზრუნოსო („მე თუ არ ვიქნები,
 დევენაც დაქუელა“), ხელს კი გაი-
 ძენ, რომ ყოველი განცალკევებული კაცი
 საზოგადოების წევრია და მასთანადე ყოველ
 განსიძებას უნდა ხმარობდეს, რომ წარმა-
 ტებში შევიდეს ეს იმის გამოჩენილი და დამა-
 რენელი საზოგადოება, მით უფრო რომ სა-
 ზოგადობის კეთილდღეობის შედეგი კერ-
 თად იმისივე კეთილდღეობა იქნება. — ამის-
 ნა მაგალითების მოყენება, რომ საჭირო იყოს,
 ასობით შეიძლება.

ბით, ისე ჰუიკა და კადეც ბარბაროსებმა
 დიმიორჩილეს; ამრიგათ იმთ დაჰკარგეს თავის-
 უფლება და თვისარსებობა. მანცალკევებულ
 პირს, ინდუვიდუალს კიდევ უფრო იშვიათად აქვს
 ეს მუდამ ცვლილებებისა და წარმატების თვისე-
 ბა: საზოგადოთ შენიშნულია, რომ კაცი, მი-
 აწვეს თუ არა ერთს წერტილამდინ, შეეა თუ
 არა მოხუცებულდებაში, შემდეგ ძალიან იშვი-
 ათად გამოიცილოს თავის ცხოვრებას, ჩვეუ-
 ლეებს და აზრს, რაც უნდა ცუდნი იყენენ
 ისინი, და ძალიან იშვიათად შეითვისებს ახა-
 ლი დროების რომელსამე ცვლილებასა. — მს-
 ითქმის მხოლოდ განცალკევებულ პირებზე-
 ზე და ერზე. მთელი კაცობრიობის შესახედ
 კი ისევე ზემო მოყვანილი კანონი რჩება, რომ
 კაცობრიობა მუდამ და ყოველი მხრით იც-
 ვლება და წარმატებაში მიდის. —
 — ყოველი განცალკევებული ერის ისტორია
 გვიჩვენებს ჩვენ, რომ რომლისამე აზრის და
 ჩვეულების უსაფუძვლობა და საზოგადოთ
 წარმატების დამაბრკოლებელ მიზეზთ მოსპო-
 ბის საჭიროება ერთ დროს და ყველას ერთად
 არც ერთ ქვეყანაში არ უგრძნიათ: ყოველ-
 თვის და ყველგან პირველათ საზოგადოების
 რამდენთამე უფრო ჰუიკან და განათლებულ
 პირთა შეუმცდევიათ და გამოუთქვამთ სახალ-
 ხოთ, რომ ესა და ეს ჩვეულება, ან აზრი
 უსაფუძვლო და მანებელია და ამა და ამ
 საქმეს ყურადღება რომ მიექციოთ კი ყვე-
 ლასთვის სასარგებლო იქნებაო. ამნაირი ახა-
 ლი აზრები ცრუ-ცრუათი გავრცელებულან
 საზოგადოებაში და, როცა ისინი საზოგადოე-
 ბასაც მოსწონებია და სასარგებლოთ დაუნ-
 ხავს, იმთ დაგვართ მოქცეულა, თუმცა,
 რასაკვირველია, უმეტესს ნაწილს (განსაკუთ-
 რებით მოხუცებულებს) ყოველთვის გასჭირ-
 ვებია ძველი, უფროსი ჩვეულებების და ცხოე-
 რების ერთბაშთ დატოვება და ახალს გზაზედ
 დადგომა. შამისოთ კაცობრიობის წარმატება
 ყოველად შეუძლებელი საქმე იქნებოდა, უა-
 მისოთ კაცობრიობა ვერ მიადწევდა იმ გან-
 თლების ხარისხამდ, რომელზედაც ეხლა დგას,
 ის დარჩებოდა იმავე ბარბაროსულ მდგომარ-
 ეობაში, როგორც ამ რამდენიმე ათი საუ-
 კუნის წინთ იმყოფებოდა. —

ყოველ საზოგადოებაში მოინახებია ისეთ-
 ნი პირნი, რომელნიც ჰუიკით და განათლე-
 ბით სხვებზე წინ სდგანან ამ საზოგადოება-
 ში; იმათა, შეძლებისა და ან ნიჭის წყალო-
 ბით, გაუსწიათ სხვებზე მომეტებულათ ჰუიკა-
 განება და მიუღიათ ცოდნა. აი, ამ პირების
 ეალია, შეძლებისა და დროს მოთხოვნილებისა
 დაგვართ, წინ წასწიონ მთელი საზოგადოე-
 ბა და სცდილობდენ იმის კეთილდღეობაზე.
 საზოგადოებას ბევრი დაუხარჯავს განათლე-
 ბულების აღზრდისათვის და ამიტომ უფლებ-
 ბაცა აქვს ბევრი მოსთხოვოს იმათა. მისაც
 შეძლება არა ჰქონია, რომ ცოტადღენი გა-
 ნათლება მაინც მიეღო, ვინც სიყმაწვილიდგან
 მუდამ იმის ფიქრში ყოფილა, რომ ხელს უ-
 ლუკმა-პურათ არ დარჩეო, იმას საზოგადო-
 ება, რასაკვირველია, ვერ მოსთხოვს, რომ მაგ-
 დენათ სასარგებლო კაცი იყოს ქვეყნისათვის,
 თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგან ჩვენ დროში

ითქმის მთელი საზოგადოების ცხოვრება მარ-
 ტო შეუძლებლეს აწვეს კისერზე. შექველია,
 იმ კაცს უფრო მეტი მოთხოვება, რომელ-
 საც 20—25 წლამდ თვის ჰუიკისა და გო-
 ნების განხის მეტი არაფერი დარდი არ აწუ-
 ხებდა, რომელსაც ამ დროს განმავლობაში
 უზრუნველათ და დროსა და შრომის დაუ-
 კარგავათ ჰქონა მზათ ყოველი საცხოვრებ-
 ლი სახსარი, ვიდრე იმას, რომელმაც დღეს
 არ იცის — ექნება ხელს იმას რამ საზრდო,
 თუ არა, რომელიც, ერთი სიტყვით, მთელ
 თავის სიცოცხლეს ატარებს ამ საზრდოს მო-
 პოების ზრუნვაში.

— ამას გარდა განათლებულს ყოველთვის
 უფრო უკეთ შეუძლიან უჩვენოს საზოგა-
 დოებას იმის ნაკლებუნებება და სახსრები ამ
 ნაკლებუნებების მოსპობისათვის და საზოგა-
 დოთ ყოველი ახალი საშუალება, რომელიც,
 ცოტათ თუ ბევრით, ეხმარება ხალხის კეთილ-
 დღეობას და იმის ცხოვრების გაუმჯობესე-
 ბას. მანათლებულსა და გონება-განხილს
 კაცს ყოველთვის შეუძლია, თავის ცხოვრე-
 ბით და სიტყვით, დიდი და კეთილი გავლენ-
 ნა იქონიოს საზოგადოთ გაუნათლებელ სა-
 ზოგადოებაზე; თუ იმას არა აქვს ანაირი
 გავლენა, თუ იმაში საზოგადოება ვერა ხე-
 დავს კაცურსა და სამაგალითო კაცსა, მაშინ
 იმის განათლებისათვის დაწარჯული ფულები
 მუქთად, უნაყოფოთ დაწარჯული ფულებია;
 ამნაირი კაცის მაგალითი მეორე მხრითაც
 აძლევს საზოგადოებას ვნებას: იმის შემხედ-
 ვარე მამები, უქველია, ისე გულსმოადგი-
 ნეთ აღარ დაიწყებენ მეცადინეობას რომ უმა-
 ლესი განათლება მისცენ თავიანთ შვილებს;
 ისინი თითქმის საფუძვლიანათ იტყვიან: — რას
 გვიკეთებენ სხვები, რომელთაც უმაღლესი
 განათლება მიუღიათ? რითი დაეხმარენ ისინი
 ჩვენი ქვეყნის წარმატებას?

სხვა და სხვა დროს ყოველ საზოგადოება-
 ში სხვა და სხვა მოთხოვნილება და საჭირო-
 ება არის; თუ რომელსამე ერს გარეში მტრე-
 ბი აწუხებენ, მაშინ საჭიროა მეომარი დამხნე
 კაცები; თუ ამ ერში სუფევს შინაგანი უთან-
 ხმოება და არეულობა, მაშინ ყველაზე უფ-
 რო საჭიროამტყიც და თადარიგანი მმართვე-
 ბლობა, რომელსაც შეუძლია დაამკვიდროს
 მშვიდობიანობა; თუ ერს არც გარედან და არც
 შიგნიდან არაფერი არ აწუხებს, მაგრამ, თავის
 უმეტრების წყალობით, ის ვერ სცხოვრებს
 მაინც კარგათ, ვერ გრძობს კეთილდღეობას,
 მაშინ, უქველია, ყოველი კეთილგონიერი კა-
 ცის ეალია იზრუნოს თავის სამშობლოს გა-
 ნათლებისა და განსწავლისათვის.

— მინ არ იცის, რა გვაწუხებდა და რის ნაკლებ-
 ბობას ვგრძობდით ჩვენ ამ 10—15 წლის
 წინთ, როდესაც ცრუ-ცრუათ ჩვენ შიაც გაჩ-
 დენ განათლებულები! (გარეში მტრების,
 ღეთის მადლით, ჩვენ მაგდენათ არ გვეშინო-
 და; მაგრამ ჩვენ გვეყდენენ შინაგანი მტრე-
 ბი, რომელნიც ათასჯერ უფრო მანებელნი
 და დამახინებელნი არიან, ვიდრე გარეშენი.
 მს მტრები იყენენ: ბატონ-ყმობა და
 უმეტრება, რომლებს წყალობით, ჩვენ
 თითქმის ისევე იმავე მდგომარეობაში ვახლ-

დით, როგორც ნეტარსენებული რაინ-
 დობის დროსა. ჩვენ ბლომად გვეყდა
 მუშა-კაცები, ბლომად გვექნა მშენიერი,
 ნოყიერი მიწები, მაგრამ, ამ ორი სენის წყა-
 ლობით, მაინც უხეიროთ, დიდს სიღარიბეში
 და ერთმანერთის უკმაყოფილებაში ცხოვ-
 რებდით: ბატონსა და ყმებს შუა სუფევდა
 მუდამ განხეთქილება და უთანხმოება; ბატო-
 ნი მუდამ იმას სცდილობდა — რაც შეიძლება
 მომეტებული დაეძრო გლეხსაო და გლეხიც,
 თუ შეიძლება რამე რიგათ, იგრავედა თავის-
 თავსა; ჩვენი თვალ-უწვდეველი მიწები,
 ხელ-უხლებელი ტყეები და მდიდარი მიწა-
 რები დაგდებულნი იყენენ სრულებით უყუ-
 რადღებოთ. არც შეძლება და არც ცოდნა
 არ გვაძლევდენ ჩვენ დონისძიებას, რომ ჩვენ-
 და სასარგებლოთ მოგვეხმარა და გამოგვეყ-
 ნებია ცხოვრებაში ეს ბუნებისაგან მონიჭე-
 ბულნი სიმდიდრენი. — მისი ეალი იყო, რომ
 ამისთანა გაჭირებულ მდგომარეობაში მყო-
 ფი საზოგადოებისთვის აეხილა თვალი და ცო-
 ტათი მაინც დახმარებოდა იმის უთადარიგო
 ცხოვრების გაუმჯობესებას? შექველია, ჩვენ
 განათლებულებს, ბევრის თუ არა, ცოტას
 გაკეთება მაინც შეეძლოთ ამ საქმეში.

შემდეგ სტატიაში ჩვენ მოვილაპარაკებთ
 იმაზე თუ — რის გაკეთება შეეძლოთ და ნამ-
 დვილ კი რა გააკეთეს ჩვენმა განათლებულე-
 ბმა. —

შინაგანი ცნობები.

ჩვენ შევიტყუეთ სამწუხარო ამბები შიმშილი-
 ზე; ლაპარაკობენ, რომ ქუთაისის ხილზე ერთი
 გლეხი მომავალბებულა სოფლიდან, დაცე-
 მულა და მამკედარა. ხალხი მიშველებია და
 იქვე ახლო აფთქიდან წამლები მიუტიათ,
 მაგრამ ველარ მოუბრუნებიათ. სხვა ამბავი
 კიდევ: საგარეჯოში თუ პატარძელში ერთი
 ქერივი დედაკაცი უაზრით შინ მკედარი. მს
 დედაკაცი ძალიან ღარიბი ყოფილა და მოწ-
 ყალების თხოვნაც უთაკილნია, სამი ოთხი
 დღის განმავლობაში გარეთ გამოსული რომ
 აღარ უნახავთ გლეხებსა, შესულან სანახავა-
 თა და მკედარი დახვედრიათ. შევლანი ამბო-
 ბენ რომ, შიმშილის ნიშნები ეტყობოდათო
 ამ ორსავე შემთხვევაში. მს დიდათ სამწუხარ-
 იო ამბავია, მეტადრე იმისთვის რომ პურის
 ახალ მოსავალამდის ჯერ ხუთი თვეა; სოფლებ-
 ში პური არსაიდგან არ მიდის და თუ მიდის
 ისევე შიშისიდგან. შიშისის ისე დიდძალი
 ხალხი აწვეს, რომ, როგორც ჩვენი გლეხი ამ-
 ბობს ქალაქზე, „ზღეა“ და აქედან გარეთ
 ძნელათ თუ პური გაიღვს. ამ უკანასკნელ
 თვეს მართალია პურის ფასი დედა შეიდაზა
 უხალთუნამდის; მაგრამ ამ ორ დღეში პურის
 ფასმა აიწივა ორ მანეთ-უხალთუნამდის. მე-
 ფურნები აქამდის ამაზე ხუთ გირვანქასა ჰყი-
 დენენ, ეხლა ოთხ გირვანქა ნახევარსა და
 ოთხ ქირვანქასა ჰყიდნან; იმერლის ხაზა-
 ხები ამაზეთ აღრე ოთხ გირვანქასა, ეხ-
 ლა — სამ გირვანქასა. ამასთან უნდა ეთქვას,
 რომ მეფურნები ფქვილს თითქმის არც კი

მარტის 19 ანგლის პალატაში იყო...

სკრიან და ქატო ნარეე ჰურს აცხოვრნ. შალაქში თუქა ჯერ არა ჩანს ისე ცხად...

სოფლებში გაჭირება უფრო მეტი უნდა იყოს ჯერ იმისაგამო, რომ ყველას ცუდი ამინდი...

საზოგადოების მხრით საქირაა, რომ ამ გაჭირებულ დროს შეეწიოს ღარიბს ხალხს...

ამასთანავე ვთხოვთ აქაურს გაზეთებსა და ჟურნალებსა, რომ ამ ხალხის გაჭირებას...

ჩვენ გავიგონეთ ერთი სარწმუნო პირისაგან, რომ ეხლანდელი შენობა ჩვენი სასულიერო...

მყოფობა არის შეგარდებში; ამბობენ, რომ განსაკუთრებით იმერლებს არ უხდებათ...

რუსეთის ამბავი.

მას შემდეგ რაც რუსეთში ბატონ-ყმობა გადავიდა (1861 წ. 19 თებ.), ყველანი დარწმუნდნენ...

ღონის ჯარის ქვეყანაშიც აპრობენ თურმე შემოიღონ ახალი სასამართლოები...

მს მეთე წელიწადია რაც პეტერბურღში შედგენილია წერა-კითხვის გამავრცელებელი კომიტეტი...

ათი მილიონის ხალხისათვის. მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ როგორც ჩვენში...

ამ უკანასკნელ ხანებში გამოვიდა ახალი დრამა ერთი გამოჩენილ რუსის მწერლისა...

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ რუსეთში არის „პირუტყვის მცველი საზოგადოება“...

სამოსამართლო შრომისა.

ამ დღეებში აქაური ოლქის სასამართლოში სწარმოებდა საქმე ერთი აქაური მალაზის პატრონისა...

მარტის 19 ანგლის პალატაში იყო ასი სახალხო განათლების ახალი პროექტი...

ამ შენიშვნების შემდეგ პალატამ ხელსაწყო...

შრანთა

„მთიცილოური ზანეთის“ 22 მარტის დაბეჭდილია იმპერატორი ნაპოლეონის დეტი წიგნი...

„შუ. მინისტრო ჩემი აზრით, მოვიდა ახლო დრო, როდესაც უნდა მოხდეს ყველა რეფორმების...

ოცი წელიწადი მეტია რაც ისინი დღე და დღე იმას სცილობდნენ, რომ მოეპოვათ ღონისძიება უმაღლესი სწავლის მიღებისა და სამსახურში შესვლის უფლება: იქ თვითონ ქალები სცილობდნენ და სცილობდნენ კიდევ, რომ გააუმჯობესონ თავის მდგომარეობა, ისინი შეიკრიბებიან ათასობით ერთად მიტინგებზე და აქვე მოლაპარაკება საზოგადოთ ქალების მდგომარეობაზე, ისინი ეხმარებიან ერთმანეთს განათლების მიღებაში, და ისეთი სამუშაოს მოწივნი, რომელიც აძლევს კაცების დამოუკიდებელთა ცხოვრების ღონისძიებას და სხვ.

ამნაირი ქალების მოძრაობა ახლა მეროპის განათლებულ ქვეყნებშია ცხანს. იმათი მეცადინეობით მეროპის უმთავრეს ქალაქებში უნივერსიტეტები გახსნილია ქალებისათვის; მაგ. ამჟამად მენის (პესტრიაში), კემბრიჯის (ანგლიაში), პოპენგავენის (დანიის), მდინ-ბურლის (შოტლანდიაში) და დუბლინის (ირლანდიაში) უნივერსიტეტებში გასათხოვარი ქალები და ვაჭები ერთად დაიარებიან და სწავლობენ. აგრეთვე ახლად გახსნილ სტოკ-ლოლის უნივერსიტეტში (შვეიციაში) ქალებსაც მიეცათ ნება ლექციების სმენისა. ამ მოკლე ხანში რუსულ გაზეთებშიაც სწერდენ, რომ ქალებს მიეცათ უფლება პეტერბურლის მედიკო-ხირურგიის აკადემიაში ლექციების სმენისა. სხვა განათლებულ ქვეყნებშიაც, მაგ. ბერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიაში ქალებმა უმთავრესი ყურადღება მიაქციეს თავის თავის განათლებას და სწავლის მიღებას, რადგან იმათ კარგათ ესმის, რომ სწავლის შემწეობით ყველაფერის მოპოება ადვილათ შეუძლიანთ.

წასრული წლის 4 ნომერის ბერლინში (პრუსიის სატახტო ქალაქში) შეიკრიბნენ მრავალი ქალები და კაცები და ჰქონდათ მოლაპარაკება იმაზე თუ—რა ღონისძიება უნდა იხმარონ, რომ გააუმჯობესონ ქალების მდგომარეობა საზოგადოებაში. ამ კონგრესში იყვნენ დეპუტატები (ქალები და კაცები) მრავალი ამგვარი საზოგადოებისა ამერიკიდან, ანგლიიდან და შვეიცარიიდან. კონგრესის პრეზიდენტად ამირჩიეს პროფესორი ბოლცენდორფი, ვიცე-პრეზიდენტებათ და სეკრეტრებათ სულ ქალები იყვნენ ამირჩიულნი. სხვათა შორის ბიუნენი სთქვა აქ, რომ „ახლადელი საქალბო სასწავლებლების პროგრამა სრულიად უნდა შეიცვალოს, რადგან ამ სასწავლებლებიდან გამოსულნი ქალები სრულიად ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას; ისინი—მასწავლებლებათაც არ ვარგან და ვერც თავიანთ შეილებს ზრდიან ხეირიანათა; იმათში, ბიუნენის სიტყვით, გამოდიან მხოლოდ მანდილოსნები, რომელთაც კარგათ შეუძლიანთ მხოლოდ სტუმრის მიღება და იმათთან ტიკტიკა“.

დიდი ხნის მოლაპარაკებისა და ბასის შემდეგ ბერლინის კონგრესმა დასდვა შემდეგი გარდაწყვეტილება (რეზოლუცია): 1) ბერლინის ქალების საზოგადოებას უნდა ექნეს მუდამ კავშირი და მიწერ-მოწყურა უცხო ქვეყნების ამგვარ საზოგადოებებთან, რადგან ამ საქმეში ერთად და ერთ ნაირად მოქმედება ყველასთვის სასარგესლო იქნება. 2) უნდა დაარსონ საერთო ორგანი (ქურნალი ან გაზეთი), რომელშიაც იქნება სხვა და მოლაპარაკება მხოლოდ ქალების საქმეებზე და იმათი განათლების საშუალებებზე. 3) საზოგადოებამ უნდა გამოართოს ქალებისთვის უმაღლესი და აგრსთვე სახელოსნო სასწავლებლები.

მოხუცისადმი.

მოხუცო, შეილი გიყვარდეს, რომ იქნეს შენი მგრძობარი, მცალი დაგრეს კაცურად, დანიშნულებაც ის არი.

ღარიგებულ საწყალსა, არ გახტეს მელა და ტურა, შრომა უყვარდეს, ცდილობდეს, იძახდეს ურა და ურა!

ნუ გეწუხება შენ სიღარიბე და ნურც დაგრჩება მისთვის ქონება, მხოლოდ მას ჰქონდეს კაცური გრძობა და ურყველი პატიოსნება.

ისე სჯობია, მამაე მოხუცო, ჰქონდეს ღარიბი მას ლუკმა პური, შეუშინებლათ თავისას სქამდეს, შორ-შორ გაუნტოს ლანძღვა და შური,

მინემ გველსავით ხერხელშიდ ძვრებოდეს, დატუნტუნობდეს ვით მელა-ტურა, და შრომის მადლსა მხიარულათა არ დასძახდეს ურა და ურა!

მერწმუნე, ჩემო პატივცემულო, ის შეილი მშობელს ვერ გახარებს, რომელიც მტრელობს, ძმებში ორგულობს და მელასავით დროსა ატარებს;

ის ყოფა-ქცევა, ჩემო მოხუცო, კაცისთვის, ვგონებ, აღარ იქმარებს, და სამშობლოცა ამ გვარსა კაცსა, აბა მითხარი, რათ შეიყვარებ!

მამ ნუ გებრალვის მაგ ვაჩი შეილი! უთხარ ნუ ძვრება ვით მელა-ტურა, მცაღოს მომმეთ გაუხტეს ძმათა, შრომას დასძახოს ურა და ურა!

ის არ გვეგონოს, რომ შენი შეილით სამშობლომ კარგათ შენ მოგიგონოს, მთუ მელასავით ძრომა-კენითა თავის სიცოცხლე მან გაატაროს;

ის არ იქნება შენი მგრძობარი, არ დაგიდგება მარჯვენა მკლავში და სამშობლოცა, მამაე მოხუცო, ცუდათ ჩასძახებს შენსა საფლავში.

მამ ნუ გებრალვის მაგ ვაჩი შეილი, უთხარ: ნუ ძვრება ვით მელა ტურა, მცაღოს მომმეთ გაუხტეს ძმათა, შრომას დასძახოს ურა და ურა!

ბ. ჰალდიელი.
1870 წ. 8 მარტს.
ქუთაისი.

სხვა და სხვა ამბავი.

ბელგრადიდან იწერებიან გაზეთში „Wanderer“, რომ მარნში (სერბიის ქალაქია) დიდი არეულობა მოხდა იმის გამო, რომ ერთი ჩერქეზის ცოლ-შვილს აშკარათ ბაზარში ჰყიდდნენ. ჩერქეზები წინააღმდეგობას უწევდნენ თურმე ამისთანა ვაჭრობას, მაგრამ იმათმა უფროსმა—ძალიდ გარდასწყვიტა, რომ ამ ნაირათ აღამიანების გაყიდვა კანონიერი საქმეაო. სხვა ქვეყნების ელჩებს პროტესტი (უკმაყოფილება) განუცხადებიათ ამაზე და თხოულობდნენ, რომ აღამიანთ ვაჭრობა მოისპოსო.

რა დიდი სარგებლობა მოაქვს ჯანმთვლობისათვის ყვავილის აცრას ამტიკებს შემდეგ

ბ ე ლ ე გ რ ა ვ ი.

მ. ც სიტყვიანი დეპუტის გაგზავნა მთელი სიტყვიანი დეპუტის:

ნა. კაპ.	მან.	კაპ.
მუშბრს, ბანჯას, ბაქოს —	1	
ახალციხეს, ბორჯომს, ქუთაისს —	1	
პოლორს, ბორს, დუშეთს, —	2	50
მოსკოვს, ასტრახანს, —	2	
ნახიჩევანს, მლაიკეაქაზს, ნუხას, —	1	
ნოყნს, მდსხსს, როსტოვს, —	2	
შოთს, მარპირს —	1	
ს-პეტერბურგს —	3	
სურამს, სიღნახს, —	2	50
ტაგანროგს —	2	
ტიმირ-ხან-შურას, მრევანს, შემახას —	1	
ანგლიაში (შველა ქალაქებში) —	3	75
ფრანციაში —	3	50
იტალიაში და რომში —	3	30
მსმალეთში (სტამბოლს) —	3	

გი რიცხვი ყვავილით მკვდრებისა, რომელიც მოყვანილია ერთს რუსულ გაზეთში: 1801 წლიდან ვიღრე 1870 წლამდე, ესე იგი, სამოცდა ცხრა წლის განმავლობაში, მომკვდარა რუსეთში ყვავილის აუტრილობისაგან 10,350,000 კაცი.

ამ მოკლე ხანში ამერიკის შეერთებული შტატების ერთს ქალაქში ამირჩიეს მოძრიგებელ მოსამართლეთ ერთი დედაკაცი. ამერიკის გაზეთებში ეს ქალი დაწერილობით არის აწერილი: თითქმის ისიც კია მოყვანილი, რომ ის ორმოცდა თვრამეტი წლის არის და ოთხფუთ ნახევარს იწონისო. ეს ქალი მშენიერათ ასრულებს თურმე თავის თანამდებობას და ყველანი მადლიერნი და კმაყოფილნი არიან იმის განჩინებადსა.—ახალი მოძრიგებელი მოსამართლე დაიარება თურმე სამსახურში უბრალო ჩითის კაბით, და თავზე იმას ხურავს ნაქსოვი ხელსახოცი.

ამაოჩენილს ბუნების მეცნიერს—ძალა შოხტს ამ მოკლე ხანში წაუკითხავს პრაგაში რამდენიმე პუბლიკური ლექცია; ამ ლექციებში იმას გამოუთქვამს ზოგიერთი ისეთი აზრები პაპისა და საზოგადოთ ფრანგების პატრების შესახებ, რომელიც იმათ სრულებით არ მოსწონებიათ; ამის გამო, როდესაც ეს ლექციები დაბეჭდეს და ეიფად დაუწყეს, კათოლიკეთ პატრები ძალიან სცილობდნენ, რომ არ გაეცეცლებულიყვნენ ისინი ხალხში, მაგრამ ვერა გააწყვეს რა.

ტამბოვის გუბერნიის მემამულეს მანუელ ნარიშკინს შეუწირავს სახალხო შკოლებისთვის მასწავლებლების გამოსარგელათ ო რ ა ს ო რ მ ო ც და ა თ ი ა თ ა ს ი (250,000) მანეთი. ეს სამასწავლებლო სემინარია, როგორც ამბობენ, უნდა გაიხსნას ტამბოვის გუბერნიის ერთს უფლებში, სადაც უფ. ნარიშკინს დიდი მამულები აქვს.—ღვთის მადლით, მექმნეულები ხომ ჩვენშიაც მონახებიან, ბევრი თუ არა ცოტა მაინცა; სახალხო შკოლების და ამ შკოლებისთვის მასწავლებლების საჭიროებას რუსეთზე მომეტებულათ თუ არა ნაკლებათ ხომ მაინც არა გვრძობთ; მაგრამ აბა თუ ვისმე, 250,000 მანეთი კი არა, 250 მან. შეუწირავს რომელიმე ამისთანა ქვეყნის სასარგებლო და გამოსადეგი საქმისთვის!

რუსულ გაზეთებში სწერენ, რომ მარშავეში (პოლოშაში) ისეთი საყასაობების გამაროვას აპირებენო, რომ იქ მხოლოდ ცხენის ხორცი გაისყიდებო. ცხენის ხორცი ახლა ბევრ განათლებულ ქვეყნებში სჭამენ, მაგალითად ანგლიაში, ფრანციაში, ბერმანიაში და სხვაგანაც და ყველან ამბობენ, რომ ის გემრიელიც და მარგებელიც არისო კაცისათვის.

ამერიკის მეურნეობა. ამერიკა ახალ დასახლებული ქვეყანაა და ამიტომ იქაური მიწები ისე არ არიან დალაღლნი და ისე არ გამოლევიან იმათ სინაკიერე, როგორც სხვაგან, საცა რამდენიმე ასი და ათასი წელიწადი სახლობენ კაცები, მაგ. აზიის და მეროპის ქვეყნებში. ამერიკაში ჯერ ძალიან ბევრი ხელუხლებელი, შეუბუშავებელი და ნაკიერი მიწებია; იქაურ მიწებს იმდენი შებუშავება და გაბატონება არ სჭირან როგორც მავალითად ჩვენში; ამიტომაც მერო-

პიდან და სხვა ქვეყნიდან ძლიერ ბევრი მიწის დასახლებლათ: მარშავეში ყოველ დღე ათასი კაცი მიდიოდა ამერიკაში და მარტო შოტლანდიის განმავლობაში ოთხმოცათასი ათასი ადამიანი გაიშარათ. მასაკიერელი არა მისი მსხვილი იქ მეურნეობის საქმე კარგათ მიდის.

შარშან (1869 წ.) მივიდა ამერიკაში: გზაზე—სამას ო რ მ ო ც და ა თ ი მილიონნეთისა. სიმინდი—ხუთასი მილიონისა კუთხას ო ც და ხუთი მილიონისა. ქა ს ო რ მ ო ც და ა თ ა ს ი მილიონისა. ბელი გაიყვანა—ორმოცდა ოთხი მილიონითი. პართოფილი, ხორცი და სხვა ხორავი—ორ მილიონზე მეტისა.

ზოგიერთს რუსეთის გუბერნიებში ისე გაბედნენ მგლები, რომ მცხოვრებლებს მოსვენება არა აქვია, როგორ იქცვიან ხეხილის გუბერნიისაში (შოში) რომ გასწყვიტონ ეს მავნებელი მხეცები: გუბერნია დაყოფილია რამდენიმე მარათ და თითო ზარში დაყენებულია ერთი მონადირე, რომელიც ველ გაზაფხულზე და შემოდგომაზე შეკრებს საფლავებს, შემოკრტიან ტყეებს, საცა მგლები ლებათ და ერთბაშთ ამოწყვეტენ. სანადიროთ მკვირა და უქმ დღეებში, როცა სხვა საქმე არ გახდება. თითო მგლის თავში მმართველობა იქ იმის მომკვლელს სამ მანეთს და მგლის ლეკვის ლაში მანეთ ნახევარს. სხვაგანაც რომ ასე გულსდგინეთ შეუდგებოდნენ ამ მხეცის ამოწყვეტას, უნდა იქნა მალე ამოწყვეტენ იმათა.

ჩვენც ხომ ბევრ ზინას ვამძლევენ მგლები, მგები და დათვები; რა იქნებოდა, რომ ერთხელ მგელი ღონისძიება იმათ ამოსაწყვეტათ? ეს ხომ ძველი არ არის, თუ მოვიხდომებთ. აი, ანგლიის ქვეყნებლათ ერთ მგელსაც ვერ ნახეთ.

ბიბლიოგრაფიული განცხადება.
მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში, ნის ქუჩაზე. ბებუთოვის სახლში) და აგრეთვე ალადათოვის და მუნიანჯიანის წიგნმალაზიხაში

ის ყიღება „ქაცია ალაშიანი“
თხზ. თ. ი. ჰაეკეაქაძისათვის ათი შაური
ქუთაისში
გუბერნიის ტიპოგრაფიაში (იაკ. ნიკოლოძის სახლებში)

ის ყიღება:
გუნების კარი, შედგენილი ი. ზოგებაშვილისაგან. ფასი სამი აბაზი.
ქართული ანბანი—ი. ზოგებაშვილისაგან. ფასი ორი შაური.
ქაცია, ალაშიანი—მოთხრობა თ. ი. ჰაეკეაძისა. ფასი ათი შაური.
სახელმძღვანელო რუსული ენის სასწავლებლად ქართულთა ყმაწვილთათვის. ქ-შვილისა. ფასი სამი აბაზი და ერთი შაური.

ისყიდება თფილისში ალადათოვის და მუნიანჯიანის წიგნის მალაზიხებში:
საქართველოს ისტორია,
თეიმურაზ ბატონიშვილისა დაბეჭდილი პეტერბურგს, 1848 წ. 18 1/2 ტომები, 8 1/2
ფასი ერთი მანეთი.

ფ რ ა ბ ა.
თფილისიდან მიდის შუადღეზე:
რუსეთის ყველა ქალაქებში და სამძღვარ გარეთაც ვარდა სპარსეთისა და მცირე აზიისა—ოთხშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს და კვირას.
ქუთაისში, ფოთს და სოხუმს—კვირას, ოთხშაბათს და პარსკევს.
ახალციხეს, მზურგეთს, ზუგდიდს, ბორჯომს—პარსკეობით.
მრევანს—პარსკა, ოთხშ. და ხუთშაბათს.
თეოდავს და ნუხას—პარსკეობით.
ბაქოს გუბერნიის—სამშაბათს და შაბათს.

ქუთაისიდან მიდის:
ფოთს, სოხუმს და მარპირს—ორშაბათს და ხუთშაბათს საღამოს 6 საათზე.
მზურგეთს და ზუგდიდს—ორშაბათს საღამოს 6 საათზე.
თფილისში და რუსეთის ყველა ქალაქებში—ოთხშაბათს, პარსკევს და კვირას შუადღეზე.
ახალციხეს და ბორჯომს—პარსკეობით.